ახალი
პოლიტიკური
ცენტრი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“ 2016 წლის 31 დეკემბრის ღამეს გეგმავს პოლიტიკურ აქციას, რომლის მიზანიც არის კანაბისის შემცველი პროდუქტების რეგულირებული დაშვება.

გიგზავნით კანონპროექტების პაკეტს, რომელიც სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებს ითვალისწინებს.

ამ კანონპროექტების მიღება აუცილებელია, რათა „გირჩის“ მიერ თავისუფლებისთვის ბრძოლის ფარგლებში წარმოებული აქცია მოექცეს კანონიერების ფარგლებში და ქვეყანაში გატარდეს ჰუმანური, თანამედროვე, ცივილიზებული ქვეყნების მსგავსი ნარკოპოლიტიკა.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება განსახილველად გადასცეთ შესაბამის კომიტეტებს.

დანართი 8 ფურცლად

პატივისცემით,
გირჩი
ზურაბ ჯაფარიძე

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
საალ. № 513
„29“ 11 2016წ. ფურც. 9

მის: პოლიკარპე კაკაბაძის 7ბ; ტელ: 598 31 70 09